



מְנוֹרָה

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ეგრაჟი გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מְנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ოფცოგარი
აეფას
№10 (421)
(5777)
2016


”מִבְּרוּהָ“
עַיתּוֹן יְהוּדִי
בָּגְרוּגִיה

დღეს ნომერშია:

ისრაელის პრეზიდენტის რეუვენ რივლინის
გახმაურებული გამოსვლა უკრაინის რადაში. გვ. 2



მნიშვნელოვანი მოვლენა იუდაიზმისა
და კათოლიციზმის ურთიერთობაში. გვ. 3



იუნესკოს აღმასრულებელმა კომიტეტმა
უარეთ ებრაელობის ისტორიული კავშირი
ტაძრის მთასთან. გვ. 3

ფილმი ებრაულ თჯახზე. გვ. 4

ისრაელში საქართველოს უოფილი ელჩი რევაზ გაჩეჩილამე
გვიამბობს შიმონ პერესის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. გვ. 5



გრძელდება იცხაკ
დავიდის ნაშრომის ბეჭდვა... გვ. 6



ახალგაზრდა რაბინი შიმონ წიწუაშვილი
საკვირაო საკითხავის თაობაზე. გვ. 7

პრინცმა ჩარლიმ იერუსალიმში
ბებიის საფლავი მოინახულა. გვ. 8



ცივილურ სამეცნიერო ანტისემიტური
გამონათქვამები დასჯადია. გვ. 8

ისტორია არაფერს არ ივიზუანს,
ისტორია ყოველთვის ამბობს თავის სათქმელს!

უკრაინის პარლამენტის ისრაელის პრეზიდენტის რეუზონ ჩივინის გამოსვლის თაობაზე

როვორც უკვე ვიუწყებოდით,
უკრაინის დედაქალაქ კიევთან ახლოს
ბაბიი იარში 1941 წელს მომხდარი
ტრაგედიის 75 წლისთავთან დაკავ-
შირებით უკრაინაში იმყოფებოდა ის-
რაელის პრეზიდენტი რეუვენ რივლინი.
ძნი პრეზიდენტი მინიჭიეს უკრაინის
რადაში (პარლამენტი), სადაც გან წარ-
მოსთქვა სიტყვა.

რადაში ისრაელის პრეზიდენტის გა-
მოსვლამ დიდი ხმაური გამოიწვია.

უნინარესად უკმაყოფილებას
გამოხატავდნენ უკრაინის რადას დეპ-
უტატები, პრეზიდენტის გამოსვლა ერ-
თობ ფართო განსჯის საგანი გახდა.

გთავაზობთ რეუვენ რივლინის
გამოსცვლის ტექსტის იმ ნაწილს,
რომელმაც ესოდენი ხმაური გამოი-
წვია:

რ.რივლინბა ჯერ გაიხსენა თავისი
მიუღლის ოჯახის, ახლობლების ტრა-
გედია, რომლებიც მეორე მსოფლიო
ომის წინა ნლებში უკრაინასა და ბე-
ლორუსიაში ცხოვრობდნენ, ჩამოვა-
ლა ყოველი მათგანის სახელები, ასევე
სხვა ეპრაელები ჰოლოკოსტის მსხ-
ვერპლი რომ შეიქმნენ და ხაზი გაუსვა:



შესაძლოა საკამათო თემა გახდეს, რეუვენ რივლინმა თუ როგორ შეარჩია ამ შემაზრზენ ფაქტზე საუბრის დრო და ადგილი, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ბიოგრაფიულსები მის ამ გამოსვლას ყოველთვის გაუსვამენ ხაზს. იმასაც გაიხსნებენ, რომ როცა ისრაელის პრეზიდენტი პარლამენტის ტრიბუნიდან უკრაინაში ანტისემიტიზმზე ალაპარაკდა და განაცხადა ებრაელთა გენოციდში უკრაინელებიც მონაწილეობდნენ, უკრაინის პრეზიდენტს ბ-ნ პ.პოროშენკოს, რადას დეცუტატებს მოუსვენრობა დაეტყოთ. საქერი იმაშია, რომ უკანასკნელ წლებში უკრაინელმა პოლკიტიკოსებმა გააქტიურეს მუშაობა ნაციონალისტების ჰეროიზაციის მიმართულებით, უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაცია აკრძალულია ისრაელში. უკრაინის რადამ კი 2015 წლის 9 აპრილს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, უკრაინის ნაციონალისტთა ორგანიზაცია ცნობილი იქნა „მეოცე საუკუნეში უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლად“ ამ კანონს პ.პოროშენკომ ხელი მოაწერა და თავადაც არაერთხელ

უთქვამს, რომ „უკრაინის ნაციონალ-ისტური ორგანიზაციის მებრძოლები გმირობის მაგალითს წარმოადგენენ“.

აქედან გამომდინარე, ძნელი მის-
ახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას და
ვის გულისხმობდა ისრაელის პრეზი-
დენტი.

საყურადღებოა ერთი გარე-
მოება: ბაბი იარის ტრაგედიის 75
წლისთავის ლონისძიებებთან დაკავ-
შირებით უკრაინაში ჩასული რეუვენ
რიველინი, მთავარ ლონისძიებას არ
დასწრებია — იმისათვის, რომ აუ-
რზაურს განრიდებოდა, ნინადლით
დატოვა კევი. გარდაიცვალა ის-
ლავლის ისეთი წინამორბედი პრეზი-
დენტი შიმონ პერეგსი.

Պ.Տ. Հյուրանեն Յարլաթեգի օլսրայ-
լու Արքան օդանի ասեցու զամուշված
րոմ Մայդան առ Բազլու օդա, միտա-
ցուազ գաելադա պահան. «Մենարա-
սատան» և սեբա գայթեծ ջարճարոն ծու-
պնոն այս, երտ չի կո մոցանել ենք ետ:—
Ոյն է կառ ալմաս ըստ արական պահան մի թի-
մո Յալլա տան նու ազգան օնու օսա ճա-
յա այգան պան մոյեր մայդան օնու րե նու լու-
պու Արքան պահան կան փու սպարու օսա—
թա աման մոտ արա աման կա այտ ան օնու են

— მეორე მსოფლიო ომის ნლებში თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე — ბაბიი იარში და სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში 1.5 მილიონი ებრაელი გაჟღლიტეს. ბოროტმოქმედების ბევრი ხელ-შემწყობი უკრაინელები იყვნენ. მათს შორის განსაკუთრებით გამოიჩინებოდნენ უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრები, რომლებიც აბუჩად იგდებდნენ ებრაელებს, ხოცავდნენ მათ, ხშირად გასცემდნენ--ასმენდნენ ფაშისტებთან. ისიც მართალია, რომ უკრაინაში იყო 2.500 მსოფლიოს ხალხთა წმინდანი*— კაცობრიობის ამ წყვდიალით მოცულ დროში, ეს მცირე ნაპერ-წკლები კაშკაშებდნენ, მაგრამ უმრავლესობა სდუმდა.

დღეს ებრაელი და უკრაინელი ხალხის ურთიერთობა მომავლისკენაა მიმართული, ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ დავიწყებული იქნას ისტორიის, როგორც ნათელი, ასევე საშინელი ფურცლები.

თოლცა ლავაზაკია ასტის უზიტიფური სტილურულები, არა-იმ თანდი-
ტიკური მოსაზრებებით არ შეიძლება დუმილის, გნებავთ, ხმადა-
ბალი ჩიტჩიტის გამართლება. ანტისემიტიზმი უნდა დავინახოთ
ისე, როგორიც იგი იყო ადრე და როგორიც არის დღეს. არ შეიძლე-
ბა, დაუშვებელია ანტისემიტიზმის რეაბილიტაცია, ანტისემიტთა
განდიდება.

დღეს უკრაინა სახეს იცვლის. უკრაინა საქმით ადასტურებს მისწრაფებას ცვლილებებისა და სრულყოფისაკენ. აღფრთოვანებული ვარ უკრაინით, სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობისაკენ მისწრაფებით, რომელსაც იგი ამაყად ნერგავს, მიუხედავად იმ გამოწვევებისა, რომლის წინაშეც დგას. დღეს უკრაინა რთული გზით მიდის და მრავალ სირთულეს, პრობლემას აწყდება.

არისო, უკრაინის წარმომადგენელს „დაავიწყდა“ რომ იერუსალიმი, ტაძრის მთა — ებრაელთა ადგილის დედაა და კენჭისყრისას თავი შეიკავეს.

უკრაინის ეპრაელთა ორგანიზაციამ „ვაადი“ (თავმჯდომარეობისებ ზისელსი) ამგვარ „გულმავით-წყობასთან“ დაკავშირებით უკრაინის პრეზიდენტის პავლო პოროშენკოსა და ამ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის პავლე კლიმკინისადმი გაგზავნილ წერილში გაოცება გამოითვევა.

* * *

ისრაელის პრეზიდენტის უკრაინ-ის რადაში გამოსვლიდან რამდენიმე დღეში უკრაინის ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე უკრაინელ წაციონალ-ისტია მხრიდან დარბევების ერთ-ერთმა მსხვერპლმა გაიხსენა მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული დღეებიდა ისაუბრა იმაზე, თუ უკრაინის წაციონალისტური ორგანიზაციის წევრები როგორ ეხმარებოდნენ ფაშისტებს ებრაელთა განადგურებაში.

* * *

* * *

უკრაინის ეპრაელთა კონგრესის
დირექტორმა ედუარდ დოლინსკიმ
ჯერ იყოდა, თავის „ფეისბუქზე“
კიევის მერიის წინ, მოედანზე ჰო-
ლოკოსტის წამქეზებელ უკრაინის
ნაციონალისტური ორგანიზაციის
წევრთა: სტეპან ბანდერას, ანდრეი
მელნიკის, იაროსლავ სტეცკოს,
ივან როგაჩის ფოტოების გამოფ-
ენა გააკრიტიკა და მეორე დღესვე
მისი პოსტი წაშალეს, მერე კი თა-
ვისსავე გვერდზე დასდო ვიდეორ-
გოლი, რომელზეც ასახული გახლ-
დათ უკრაინის ნაციონალისტური
ორგანიზაციის წევრ პოლიციორა
გასამართლება პოლოკოსტში მონაწ-
ილეობის გამო, მაგრამ ისიც უმაღ-
ნაშალეს. მეგობრის პოსტი აღადგი-
ნა და ეს ფაქტი გაახმაურა ედუარდ
დოლინსკის მეგობარმა — უკრაინის
ეპრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა
ალექსანდრე ფელდმანმა.

ყველაფერი ეს ადასტურებს: ებრაელები არ ივიწყებენ ნარსულის მწარე ფურცლებს, ადრე თუ გვიან, ისტორია თავის სათქმელს ამბობს.

ფილმი

ეპიკულ ოჯახები

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ არხზე ბუზუკაშვილების ოჯახის შესახებ გადაიღეს ორნაცილიანი ფილმი „უსახლკარი არქივის ფურცლები“. ფილმის ჩენება არის რეზონანსული პროექტის „ქართული ალბომის“ ეგიდით განხორციელდა. ფილმის ავტორია ნინო ხოფერია, ოპერატორი მიხეილ მანდარია, ტექნიკური რეჟისორი ირაკლი რობაქიძე. პროექტი „ქართული ალბომი“ რჩეული ქართული ოჯახების მატიახა და ამ ოჯახთა მიერ განცემულ საქვეყნო ღვაწლის თავასაჩინდ ნარმოაჩნის. საგულისხმოა, რომ ამ ღვაწლმოსილი და ნარჩინებული ოჯახების ტელერეჟსტრში პირველად აისახა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების, კერძოდ კი ტბრაული ოჯახის გეტენიკური ბიოგრაფია.

ფილმი - მონოლოგის შესავალშივე მარინა ბუზუკაშვილი აღნიშნავს თბილისის მთავარ მოედანზე ბუზურნის ქ. □ 17-შე შედებარე მათი საგვარეულო სახლის გარშემო დატრიალებულ სამწუხარო პერიპეტიების შედეგად განადგურებული არქივისა და საგვარეულო ნივთების თაობაზე, რის გამოც საილუსტრაციო მასალის

სრული დემონსტრირება ვერ მოხერხდა. თუმცა, სასაულებრივად გადარჩენილი ნანილიც კი მეტად შთაბეჭდავ ეფექტს აძლევს. მ. ბუზუკაშვილი მოგვითხოვს თავისი დიდი პასი □ რაბინ ელია ამშიკაშვილის, ბაბუის □ საერთაშორისო ასპარეზის მქონე ბიზნესშენ არონ ბუზუკაშვილის და მამის □ საქართველოს დამსახურებული ურნალისტის დავით ბუზუკაშვილის წვლილზე, როგორც საკუთრივ ებრაული, ისე ქართული განხრით და არაერთ თვალსაჩინო ფაქტს ნარმოაჩნის.

შიმონ პარესი – ისრაელის უსაფრთხოებისა და გვილობისათვის ეპიკოლი

რევაზ გაჩერილაძე

2016 წლის 28 სექტემბერს, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი — შიმონ პერესი.

თუმცა პერესი ნარმოადგენდა პატარა სახელმწიფოს, მის დაკრძალვას იერუსალიმის ჰერულის მთაზე მდებარე სასაფლაოზე, რომელიც ფაქტობრივად ისრაელის პანთეონია, დაუსწრნენ მსოფლიოს 70 ქვეყნიდან სასწრაფოდ ჩასული მაღალი რანგის პოლიტიკოსები. იქ იყვნენ ამერიკის მოქმედი და ყოფილი პრეზიდენტები ბარაკ ობამა და ბილ კლინტონი, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების პრეზიდენტები, ევროკავშირის ხელმძღვანელი პირები, იტალიის, კანადის, ოორდანის, შვედეთის, ნიდერლანდების და სხვა ქვეყნების პრემიერ-მინისტრები, პალესტინის ადმინისტრაციის პრეზიდენტი, დიდი ბრიტანეთიდან — უფლისნული ჩარლზი, ყოფილი პრემიერ-მინისტრები და საგარეო საქმეთა მინისტრი, მრავალი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, სხვა ლიდერები, კონგრესმენები, სენატორები, რელიგიური პირები. წინასაარჩევნო პროცესში ჩართულ საქართველოს ნარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, რომელმაც, ისევე, როგორც სხვა პოლიტიკოსებმა, იერუსალიმში ჩასასვლელად გადასდო აღრე დაგეგმილი ბევრი შესვედრა.

„ როდესაც საქმე ეხება პატარა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის დაკრძალვას, ჩვეულებრივ, ყურადღება შედარებით მცირეა ხოლმე.

რატომ იყო პერესი ასე ცნობილი და, შეიძლება ითქვას, პოპულარული მსოფლიოს იმ ნაწილში, რომელსაც „დასავლეთს“ უწოდებენ, აგრეთვე — აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში?

რატომ იყო ასე პოპულარული თავის ქვეყანაში
რიგით მეცხრე პრეზიდენტი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად პერესის ბიო-
გრაფიას და მის ნამოლვანარს უნდა გადავხედოთ.

შიმონ პერსკი დაიბადა 1923 წელს, იმდროინდელი პოლონეთის ქალაქ ვიშნიევში (ახლა ის ბელარუსის შემადგენლობაშია). მამამისის, იცხაკ პერსკის, ოჯახი დიდი რელიგიურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა შიმონმა ძალიან კარგად იცოდა თავისი ხალხის რელიგია და იცავდა წესებს. 1932 წელს იცხაკ პერსკი გადასახლდა პალესტინაში, რომელიც იმ დროს ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია იყო. 1934 წელს მას შეუერთდა ოჯახი შიმონთან ერთად. იქ ოჯახმა ეპრაულ ყაიდაზე შეიცვალა გვარი და დაირქვა „პერესი“.

შიმონ პერესა მალევე ჩაერთო სიონისტური მოძრაობის ლეიბორისტული (ე.წ. „მემარცხენე“) ფრთის საქმიანობაში, ჯერ მის ახალგაზრდულ ნაწილში. ის თავიდანვე გამოირჩეოდა კოდნის შეძენისადმი სწრაფვით, ადვილად ამყარებდა კონტაქტს ადამიანებთან და ხიბლავდა მათ თავისი ერუდიციით და ორატორული ნიჭით. 1947 წელს ის მოხვდა დავიდ ბენ-გურიონის ყურადღების არეში, რომელიც ძალიან მალე (1948 წლიდან) გახდა ისრაელის პირველი პრემიერ-მთანისტრი. შიმონ პერესი მალე დაწინაურდა და 1953 წელს, 29 წლის ასაკში, გახდა ისრაელის თავდაცვის სამინისტროს გენერალური დირექტორი — ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი ამ თანამდებობაზე. 1959 წელს ის პირველად აირჩიეს ისრაელის ქანცხადის (პარლამენტში) და მომდევნო 48 წლის განმავლობაში, ხანმოკლე გამონაკლისით, ყოველთვის იყო ქანცხადის დეპუტატი და, ერთდროულად, აღმასრულებელი ხელისუფლების წევრიც (ისრაელში ნებადართულია მინისტრის პოსტის შეთავსება ქანცხადის წევრობასთან).

თავისი ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის დროს პერეგის ორჯერ იყო პრემიერ-მინისტრი, ორჯერ ასრულებდა პრემიერ-მინისტრის მოვალეობას, სხვადასხვა დროს ეჭირა საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, იმიგრაცითა აბსორბციის, ინფორმაციის, რეგიონული განვითარების მინისტრის და სხვა მაღალი თანამდებობას, ზოგიერთი პოსტი — რამდენჯერმე. 2007-2014 წლებში შიმონ პერეგის ისრაელის პრიზიდანტი იყო.

კომისარი ისრაელის პორტფელი იყო.
ყველა თანამდებობაზე ყოფნისას პერესი ხელს უწყობდა ნიჭიერი ადამიანების წინსვლას, ამჟაღვენებდა

არაჩვეულებრივ შრომისმოყვარეობას და შემოქმედებით მიღომას. მას ჰქონდა იშვათი უნარი შეენარჩუნებინა წონას-წორობა ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაშიც კი. თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ის ყოველთვის არ ყოფილა გამარჯვებული: შრომის პარტიის (ავოდა) ლიდერობისათვის კონკურენტულ ბრძოლაში 1974 და 1992 წლებში დამარცხდა იცხაკ რაბინთან, ხოლო 2005 წელს — ამირ პერეცთან; 1977 და 1996 წლებში ავოდამ მისი ხელმძღვანელობით წააგო საპარლამენტო არჩევნები მემარჯვენე პარტია ლიკუდთან, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჯერ მენახებ ბეგინი და შემდეგ — ბინიამინ ნეთანიაჟუ; 2000 წელს მან სულ ერთი ხმით წააგო არჩევნები ქნესეთში ისრაელის პრეზიდენტის პოსტში სათვის ბრძოლაში მოშე კაცავთან. მიუხედავა ამისა, ის არასოდეს კარგავდა ოპტიმიზმს, არ ყოილ ფარ-ხმას და ძალიან ხშირად ახერხებდა „რეგანის

შისაღებელი შემოხვევას შემონაბეჭდის მიზანით გადასცა საპრეზიდენტო კონფერენცია, რომელიც 2014 წლის 10 მაისის 14:00-ის დროის განმავლობაში გაიმართოდა.

მაგრამ ისრაელი შიმონ პერესს აფასებენ უფრო სხვა საქმიანობისა და მიღწევებისათვის.
2003 წელს, როდესაც შიმონ პერესის დაბადების 80 წლისთავს აღნიშნულზენ და თელ-ავივის ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში შეიკრიბა ისრაელის მთელი პოლიტიკური ისტრებლიშმენტი და დიპლომატიური კორპუსი (მათ შორის ვიყავი მეც, როგორც საქართველოს იმდროინდელი ელჩი ისრაელში), გამოსვლებირაც ყრუდ თუ გაისმოდა მისი მშვიდობის მშეოფენლი საქმიანობის შესახებ. ყველა გამომსვლელი, მათ შორის არაერთი პოლიტიკური ოპონენტიც კი, შიმონ პერესის პოლიტიკურ საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა მის დამსახურებას ისრაელის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, თუმცა გამომსვლელები ამაზე

ახლა საიდუმლო აღარავა შიმონ პერეჯსის საქმიანობა 1950-იან წლებში, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ბენ-გურიონმა მას დაავალა ისრაელისათვის ბირთვული ფარის შექმნა. ახლა ამაზე თითქმის პირდაპირ წერენ ისრაელის გაზეთებიც. 2016 წლის 28 სექტემბერს, პერეჯსის გარდაცვალების ცნობის მიღებისთანავე, ისრაელის ატომური ენერგიის კომისიამ (IAEC) გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ენერა: „შიმონ პერეჯს მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი „ნეგევის ბირთვული კვლევის ცენტრის“ დარსებაში და



ისრაელის ბირთვული პოლიტიკის შექმნაში, რაც ისრაელის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია“.

სიტყვები „თითქმის პირდაპირ“ იძიგომ გამოვყავი კი, რომ ისრაელის ხელისუფლება მანიც ამჯობინებს შეინარჩუნოს ე.ნ. „ბირთვული ორაზროვნება“ (*nuclear ambiguity*), როდესაც პირდაპირ არც ადასტურებს და არც უარყოფს ბირთვული იარაღის ქონას. სხვათა შორის, ასეთი მიტოგომა შეიმოგ პერესმა დანერგა.

ფაქტია, რომ დიპლომატიური აღლოვანი და შეკიდროვის მეცნიერები 1950-იანი წლების საფრანგეთის საკმაოდ ჭრელ პოლიტიკურ ელიტასთან (იქამდე, სანამ საფრანგეთს სათავეში ჩაუდგებოდა შარლ დე გოლი) პერესს დაეხმარა ისრაელისათვის უახლესი ფრანგული იარაღის, მათ შორის იმ დროს საუკეთესო ავიაგამანადგურებლების, და, აგრეთვე „ნეგევის ბირთვული კვლევის ცენტრისათვის“ ბირთვული რეაქტორის და მისითვისცე საჭირო მასალების ფარულად შეძენაში. ამ უკანასსენელი მიზნით პერესმა თავდაცვის ბიუჯეტის ნაცვლად გამოიყენა შემონიღულობა საზღვარგარეთელი მდიდარი ებრაელებისაგან, რომელც ბიც მანვე დაარწმუნა, რომ ეს თანხა ისრაელის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი საქმეს მოხმარდება. ფორმალურად, ნეგევის უდაბნოში, ქ. დიმონასთან, იგებოდა „საფეიქრო ქარხანა“, რომლის ქვეშ, მიწაში, მრავალსართულიანი მიზიერები აშენდა, სადაც დაიდგა ატომური რეაქტორი. 1950-იან წლებში ამ საქმეში პერესს არ ჰქონდა მხარდაჭერა არც ისრაელის მეცნიერების უმრავლესობის მხრიდან (ისინი სამშენებლოდ იყვნენ განწყობილი) და არც სამხედროების უმრავლესობის მხრიდან (მათ თავდაცვითი ბიუჯეტის გადანაწილება აშინებდათ). მაგრამ პერესს ზურგს უმაგრებდნენ პრემიერ-მინისტრი ბენ-გურიონი და, გარკეცულებული ეტაპზე, გენერალური შტაბის უფროსი მოშე დაინანი.

შიმონ პერესი ყოველთვის თავს არიდებდა ზე-
მოხსენებულ საკითხებზე საჯარო საუბარს. მა-
გრამ ერთ-ერთ თავის უკანასკნელ ინტერვიუში მან
თქვა: „დიმონა დაგვეხმარა ოსლოს (შეთანხმების)
მიღწევაში, რადგან ბევრ არაძს გაუჩნდა ეჭვი, რომ
ძალიან ძნელია გაანადგურო ისრაელი, სწორედ ამ
ეჭვის გამო. თუ ამის მიზეზი იყო დიმონა, მაშინ მე
სწორი ვყოფილვარ“.

შიმონ პერესი თითქმის სიკვდილამდე ინარჩუნებდა კარგ, შეიძლება ითქვას — სპორტულ — ფორმას, ყოველთვის ელეგანტურად გამოიყურებოდა. მისი ერუდიცია და ენამოსწრებულობა საარაკო იყო. 21-ე საუკუნის დასახუისში ის დიპლომატიურ კორპუსს თელ-ავივში ხვდებოდა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, და ინგლისურ ენაზე მისი გამოსვლის მოსმენა ერთ რამედ ღირდა! ერთ-ერთი მისი მეკვიდრე იმავე პოსტზე კი მოითხოვდა, რომ დიპლომატიური კორპუსი, რომელიც ძირითადად თელ-ავივსა და მის შემოგარენშია განლაგებული, 60 კილომეტრით დაშორებულ იერუსალიმში ხლებოდა მინისტრს და იქაც მთარგმნელის მეშვეობით გველაპარაკებოდა საჭაოობ ბანაოურ თამებზე.

შიმონი მეგობრული იყო ყველას მიმართ, ვისაც მასთან მეგობრობა სურდა. არ დამავინწყდება, რომ 1998 წლის 26 მაისს, როდესაც ახალგახსნილი საქართველოს საელჩი ისრაელში პირველად აღნიშნავდა ეროვნულ დღესასწაულს, შიმონ ჰერესი გამოეხმაურა ჩვენ მოწვევას, მოვიდა მიღებაზე თელ-ავივში და ბოლომდე დარჩა ჩვენთან. ის ყველაზე საპატიო სტუმარი იყო და თავისი სტუმრობით დაუყოვნებლივ გაზარდა ჩვენი საელჩოს, და, ამდენად, საქართველოს, პრესტიული ისრაელში. ის ყოფილა საქართველოს საკადაციო მინისტრის მიმართ, რომელიც ამავე დღის მიზანით მოვიდა მის მიღებაზე თელ-ავივში.

ରତ୍ନେଲାମୀଙ୍କ, ସାଧାରି ମାତ୍ର ଶେଖାନୀଶ୍ଵରାଙ୍ଗ ଦାତ୍ତବ୍ୟନ୍ତେ ।
ମିଳି ବେଳିପଣା ଦାଉଜିନ୍ଦ୍ୟାରି ଐନ୍ଦ୍ରା ପ୍ରେସଲ୍ସାର୍ଟିକ୍ସ,
ବିନ୍ଦୁଙ୍କ ଅଥ ଗାମରନ୍ଦିରୀରୁଲ ଅଧାମିନ୍ଦ୍ରି ଲାଇସେନ୍ସରେ ।



ვარაული მისტიციზმის საფუძვლები

და ლიაზელი გეორგ ზალმანის თაოსროვი

ପ୍ରକାଶକ ହାତବଳୀ

(გამორჩეულება. დასაყიდვის 06 „გ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12, 2013; №10, 12, 2014, №2, №3, №8 2015; №1, 9 2016)

გერონელმა აზრიელ {ეზრა} ბენ მენახემმა {1200-იანი წნ.} რამდა “ნ-ის მონაფემ დაწერა ტრაქტატი ათ სეფირაზე „ეზრათ ად-ნაი“, მასვე მიაწერენ სეფერ ჰა-მილუიმ-ს, ასევე კომენტარს სეფერ იეცირა-ზე. აზრიელით ღ-ი უსასრულობა - ეს სოფ. ჩვენ ვიცით მხოლოდ თუ რა არაა ღ-ი, ისაა პირველმიზეზი, უარყოფა ყველა უარყოფათა. სამარო პოტენციალურად იყო უკვე მოთავსებული ეს სოფ-ში, საიდანაც ემანირდა და ნარმოვლინდა ნივთიერება. ე.ი. ადგილი ჰქონდა არა შექმნას, არამედ გამომდინარეობას - აცილუთ-ს, თანდათანობითი გრადაციით-ჰიმოალელუთ. საზრისეულებიდან ნივთიერებისკენ. უსასრულობიდან სასრულისკენ. ამასთან არ ჟეილება სასრული ნივთერი სამყარო მომდინარეობდეს უშუალოდ უსასრულო ღ-იდან. მათ შორის შუამავალი არსები ანუ სეფიროთებია: პირველი სეფირა რუქ მა'ალა - დინამიურია. მისგან ნარმოვლინდა მეორე სეფირა - ინტელექტისა და აშ პირველი სამი სეფირა საზრისის სამყაროა. მეორე სამეული - ემოციებისა. უკანასკნელი ოთხი კი - სხეულებრივ-ნივთიერი. ესენი შეძდგენენ ადამიანის სხეულის 10 ნაწილს და შუქის 10 გარდასახვას. {იხ. იელინეკი, ერენ-პრაიზი, მიხაელი, ბლოხი...}

ჯერ კიდევ სეფერ ჰათემუნა წიგნი გამოსახულებისა { შეეცადა გადმოეცა ემანაციის პროცესი ებრაული ანბანის ასოთა გრაფიკული სისტემის შესვეობით. აქ პირველად იქნა განხილული სეფირების საკითხი, ვითარებული ინჟინერული ატრიბუტებისა. ამასთან მიჩნეული იქნა, რომ საკუთრივ ემანაცია { ჰა-აცალა } ორსახოვანია: დადებით (კეთილი) და უარყოფითი (ბოროტი) { შდრ. სეფერ ჰა-ბაჲირ, მა'არეხეთ ელჰოუთ } უნისსპ ნციცლო-პელია, ტ.3. გვ.465-468.

საინტერესოა პრატტიკულ-განცდით - შეგრძნებითი მისტიკის ასპექტით ავრაპამ აბულაფიას {1240-1291} მოძღვრება, რომელიც გაცილებით უშუალო, სეფირით-მოკლებულ კავშირს ცდილობდა ღ-თან. ერთერთ ასეთ საშუალებად ბიბლიის ასოთ შენაერთები {ცერუფიმ} მიიჩნდა. მისი მოწაფეებიც იოსევ გიკატილია და სხვ. ავრძელებებს მის გზას {ძრ. შელომო ალკაბეკი, იოსევ ალბო, იოსევ ტაიცატაკი, ოსევ იბხ შეგტოვი, იცხავ აპარბანელი, იცხავ არაძა, დავიდ ბ. ზიმრა, ი. ხაიაზი, იოსევ სარაჭოსელი და ა.შ.}.

შიძორა, ი. ნაათები, იოსეფ საკაგვასელი და ა.ძ. }
ავრაპამ ბერ შემუცელ აბულაფიამ (1240-1300?)
შორეული ქსპანეთიდან პალესტინისკენ გამო-
სწინა 1260 წელს, რათა ლეგენდარული სამჩატ-
იონი ენახა და ისრაელის ათი ტომიზ {რამდენადმე
კავკასიელ ებრაელებთან გაიგივებული} მოეძია.
ჟამთა ავტედითბის გამო მხოლოდ აქომდე მოაღ-
წია და იტალიაში გამობრუნდა, სადაც იგი ხარბად
დაეწადა კაბალას. ჩაუღორმავდა სეფერ იეცირა-
ს. „მაშინ ჩამოეშვა სული ღ-ისა ჩემზე და ვიზილე
ხილვანი უჯხონი - წერდა იგი.

აბულავაფიამ ჩამოაყალიბა რიცხვთა და სიტყვათა შენაერთთა კატალისტური სისტემა, რომლის მიხედვითაც ებრაული ანბანის ასოები კოსმიური შემოქმედი ძალების სიმბოლონი იყვნენ და რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო სასწაულქმედებანი, თუ ამას დაემატებოდა განდგომით და მჭვრეტელობით ცხოვრების წესი, მაშინ წინასწარმეტყველური ნიჭ-უნარი გაუწინდებოდა ადამიანს - ღ-თთან შერწყმა საიდუმლოებათა წვრთნით

1279 წელს დაწერა აბულაფიამ სეფერ ჰა-იაშარ რაზიელისა და ზახარიას ფსევდონიმით, რაც რიცხვობრივად მასსაც სახელს ავრაპამ-ს უდირიდა (249). 1280 წელს აბულაფიამ უეცრად გადაწყვიტა რომში დასახლება, შეცყრიბილ იყო რა ფანტასტიკური განუხორციელებელი მიზნით - იუდეურ კაბალისტური მსოფლმხედველობისკენ დაეყოლებინა რომის პაპი ნიკოლოზ მესამე. გაიგო რა ეს ჰაპმა, ბრძანება გასცა, ცეცხლისათვის მიეცათ უგუნური ეპრაელი მისტიკოსი. მაგრამ აბულაფიამ რაღაც სასწაულებრივად შესძლო სურიანოს გავლა. თითქოსდა მისთვის დანობეული ცეცხლით და რომ-ში დაბოუნდა, სადაც იგი დააკავეს და 4 თვე დაკყო მინორიტი ფრანცისკანების ციხეში. შემდეგ გაანთავისუფლეს. მიაჩნიათ, რომ რომის ინკვიზიტორი მოსამართლები მან დაარწმუნა კაბალის მოძღვრების არსობრივ სიახლოვეზე ქრისტიანული სამების {ტრინიტა} იდეასთან. მართლაც, რამდე-

ნადმე ორაზოვანია მისი დამოკიდებულება კა-
ბალის ათ-სეფირის სეულ თეორიასთან. ერთგან იგი
კიცხავს კაბალის ტეტბს, რომლებსაც სურდათ ო-ის
აბსოლუტური ერთიანობის დამტკიცება არაე-
ბრაული ტრინიტარული შეხედულებების საწი-
ნააღმდეგოდ. თუმც უმანაციური ათი სეფირის
სახით ო-ის ათ-სახოვანი არსი წარმოაჩინეს. მეო-
რეგან აბულაფია მიუთითებს, რომ რ-ის სახელი
ერთ სამარსოვან ფორმაზე მიუთითებს, ამასთან
ეს სამება ერთიანია.

ასეთმა ბუნდოვანმა კაბალისტურმა აგიტა-
ციამ, რამდენადმე დააშინა ხმელთაშუაზღვეთის
ქვეყნების (იტალია, საბერძნეთი, მალტა, უსპა-
ნეთი) ებრაელობა და აბულაფიას დევნა დაუწყეს.
მათ საპასუხოდ კი მან ორი წიგნი დაწერა სეფერ
ჰაგუთ და იმრე შეფერ { 1285-1291წ. }
სინამდვილეში, ავრაპამ აბულაფია გვევლინება
სასწაულთქმედი კაბალის შემქმნელად. არიზ'ალ-
ბეშ'ტ-ური კაბალების წინამორბედად. სულ შეუ-
თხზია 26 ნანარმოები, მათ შორის ორ ჰა-სეხელ,
სეფერ ჰა-ცერუფ, მათგთეას ჰა-ხმემოთ, სეფერ
ჰა-ხეშეკ, ხაიე ლობამ ჰაბა, ავტობიოგრაფიულია
ოცარ'ედენ განუზ. ზოგი მათგანი გამოქვეყნებუ-
ლია (იხ. გრეცი, იელინეკი, ლანდაუერი, გინციგი,
შოლემი და სხვა.)

კაბალისტი, ბიბლიური ერაული ასოების კომ-
ბინაციით. გარკვეული მნიშვნელობის მიღმა ქმნის
ახალ, ზე-რაციონალურ, გარე-საზრისიერ შენიშ-
ვნელობებს, რაცერთვის რა განსაკუთ. სუნთქვით
ტექნიკასა და სხეულის ცენტრების განვირება-
ძედიტაციას ასოებზე. დაუყოვნებლივ იწვევს
ექსტაზის სიტუაციას.

ასე იქცეოდა ა. აბულაფია რომელიც თქვეფდა - აწყობდა ეპრაული ანბანის ასოებს, განჭვრეტდა სახელს ღ-სას და ადგენდა აბსტრაქტულსა და კონკრეტულ ენას, საზრისის მიხედვით, სინამდვილის მნიშვნელობას მოკლებულს, მაგრამ მისტიკური ლოგიკის მიხედვით, სავსებით გაცნობიერებულ „სანინასნარმეტყველო ენას“. {ძდრ. ჩინურ-იაპონ. ზენ-ის ტექნიკა}.

აბულაფიას თანახმად ენობრივი მისტიფიკაციის გზაზე სამი ეტაპი იყო გასავლელი მივტა {წარმოთქმა}, მითხვა {დაწერა} და მახსავ {განჭვრეტა} უხეში მატერ. ვიზუალიზაციების კვალობაზე იგი თახდათანობით აღნევდა სულიერ-სპირიტუალურ აღგ ზნებადობას {შდრ. ჩვენეული ტერმინი - ჰიმააფუთ}, რომლის დროსაც იგი ფაქტიურად ეხებოდა ოთოვეული ასოს მიღმა მდგარ გამოვ-

ესები და მის განვითარება თანა თაღით უდიდეს, განკულენა-წინარე „სულის“.
ხშირად იყენებდა აბულაფია ე.წ. დილლუგ-ის {გადახტომა-გამოტოვება} მეთოდს და თავისუფალი ასოციაციების სამუალებით ქმნიდა სიტყვათა თანმიმდევრობის ჯაჭვებს, ალაგებდა მათ წინადაღებებში, ამსხვრევდა მათ სიტყვებში, სიტყვებს ასოებში, ხოლო ასოებს გარდატეხდა სინათლი-სულ სპექტრში.

მისტიკოსი ენ სოფ - უსასარულობასთან უშუალო კონტაქტისა თა მიღწებისა, მისი მნიშვნობობა არ მჩნია.

კონტაქტსა და ძირიბებას ითვლებოდა. ამ ძროიდ, იგი რამდენადმე უკლიდა გვერდს სეფირ-ათა გამაშუალებელ, შედიატორულ როლს და უსასრულოს წვდომას ლამზდა. აბულაფია უარყოფდა მისი თანამედროვე მუსლიმი სუფიების „საკ. შე-ს გადამშლელ ტრანსებს“ და წინ სწევდა ნივთიერი სამყაროს განხვერეტის შესაძლებლობას ასოთა მეშვეობით.

მჭვრეტელი პირი, საკუთარი სხეულებრობის გარსიდან უნდა გამოსულიყო და უფორმო აბსოლუტს შერწყმოდა თანხმოვნებისა და ხმოვანების კომბინაციათა გზით. აბულაფია სცნობდა ძევლებრაული განნებენდის საარ საფეხურს: მენტალურ-გონიერს, ფიზიკურ-მატერიალურსა და სულიერს.

1260-იან წლებში აბულაფია ორმად დაეწაფა ერთერთ მნიშვნელოვან კომენტარს, „სეფერი იეცირა“-ზე, რომლის ავტორიც ბარუხ თოვგარმი იყო {თოვგარმა ბიბლიაში გაიგივებულია მცირე აზიასთან, რიგ შემთხვევებში თურქეთთანაც კი}.

სწორედ ხსენ. ბარუს თოვგარმელი - მისტიკური სახელმძღვანელოს შემქმნელი, გადაიქცა აბუ-ლაფიასთვის ნანატრ მასხავლებლად. ჰანვრილებით იხ. ვრცელი კაბალას. ბიბლიოგრაფია, გ. შოლემი, პ. ევშტიგიენი...}

სისტემა, ა. ეპიტელია...);
აბულადიამ თავი ნინასწარმეტყველადაც
წარმოადგინა და საჯაროდ აცხადებდა რომ შპან
ერთადერთმა ადამიანმა ყველა ერებისგან მოახ-
ერხა ღ-ისკენ მიმავალი კიბე-საფეხურების მონახ-
ვა.

იცვლ-ს სახელის წარმოთქმასთან დაკავშირებით, ატულაფია წერდა: „ამ ბილიკის სახელი შეიცავს საიდუმლოებას 70 ენისასშ რაც ასოთა... გადაადგილებაში მდგომარეობს. ესაა უკან დაბრუნება ასოებისა მათ პირვანდელ არსთან, ანუ მათი განვითარება, ათი სეფირა-ს მოაზრებისა და გამჭვრეტის მიხედვით...“

აბულაფიას ცერუფოლოვგია ორი ძირითადი კარისგან შედგება, ესენი ბილიკებად იყოფიან, ხოლო ბილიკები კი - ხანილებად. პირველ კარს „ციური ჭიმკარი“ ჰქვია, მეორეს „წმინდანი კარი“... კაბალისტი საკუთარ ასო-ტენდენციებს ღის მიმართულებით მიმართავს. აი ეს ალექსაც: „ასოებზე ყურადღების დაძაბვისა და ამონძრავების შემდეგ, თავზე თბა ყალყზე დაგიდგება... სისხლი ვიბრაციას იწყებს... სხეული - კანკალს, თორთოლვა ჟრუანტელი აიტანს ყველა შენს ასო-ნანიოს და შიგნით რაღაც დამატებით ხეშამა-ს იგრძნობ... რომელიც გამაგრებს, მთელს სხეულს გიჭოლავს და გრძნობ თუ ვითარ ხელიცხები სურნელოვან ზეში თავიდან ბოლომდე.

აბულაფიას მისტიკურ მოძღვრებაში, დიალექტიკური დინამიზმის ასპექტებსაც ვამჩნევთ, კერძოდ კი, იგი მოძღვრავდა მონაფებს, რომ იმდენივე გზა არსებობს ასოთადმი მიღებომაში, რამდენიც ადამიანური ქმნილებაა. „და თქვენ თქვენივ პირადი გზით უნდა შეასრულოთ“, ამდენად, აღიარებდა აბულაფია, ყველა სულის პოტენციალურ ერთიანობას აბსოლუტთან, რაც მესიანისტ. ერს მომასწავებელი უნდა გამხდარიყო.

ხვენავდა რა საკ. ენათმეცნიერულ თეორიას, აბულაფია აცხადებდა, რომ ადამ. წმნილებები არ არიან ენის ბუნებრივი პატრონი, არამედ მის პა-სიურ საშუალებებს უფრო წარმოადგენენ... იგი ენას განიხილავდა ვითარც სულთა - შორისი გარე-
ნის ან მარტინ ლუთერის მიერ.

განი კომუნიკაციის საშუალებას.
ენა იყო მარტივი ნივთიერ-ფიზიკური განპირობება, ანუ საგანთა სახელი და ფორმა - იარაღი კაბალისტის ხელში შეეცვალა და გარდაექმნა ბუნება, ხსენებული მოითხოვდა ზედმინევნით ზნეობრივ სისტეტაკეს, რადგანაც სიტყვის-მიღმა სულთან კონტაქტირებისას, ადამიანი სცდებოდა {ტრანსცენიდებონდა} როგორც ბუნებას, ასევე გონიერს უშუალოდ ერწყმიდა დათ. ენერგიას. ამ სახით ადამიანი გამოიდიოდა ზემო და ქვემო არსობრიობდათა გამაერთიანებლად. იგი იყო აგრეთვე მოლობითი {აონი} საუკუნეო მისამართი.

ძფლობელი ადონი საკუთ. გულისა, ლ-ი მასმივე
იყო ჩაძირული, საჭირო იყო მხოლოდ მისი მოწო-
დება - გამოხმობა - ამდენება.

